24/01/2020

ილია მეორემ ბათუმის კლინიკა „მედინა“ დატოვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ ბათუმში კლინიკა „მედინა“ უკვე დატოვა.

ილია მეორის მედიკოსებთან ვიზიტი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა.

კლინიკის დატოვებისას პატრიარქმა ჟურნალისტებს გადაღების ნებართვა მისცა. ილია მეორე კლინიკაში ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრისთან ერთად იმყოფებოდა.

კლინიკა „მედინაში“ კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა.

როგორც ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში დღის პირველ ნახევარში განმარტეს, ილია მეორე კლინიკაში გეგმური გამოკვლევების მიზნით გადაიყვანეს. პატრიარქის ექიმის, ცისანა შარტავას თქმით, ილია მეორის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მას ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება თავად ბათუმის კლინიკის ექიმებმა შესთავაზეს.

1tv.ge